ხელშეკრულება № 274

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „21" „დეკემბერი" 2016 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, ტელეფონი: 226-13-34, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ-204862078), შემდგომში წოდებული „**შემსყიდველად**", წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის **ნინო ნაროზაშვილის** სახით და **შპს „ფრანი"** (მისამართი: ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №15, ტელეფონი: 2-74-51-12, 599-51-88-12, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE83TB7563136020100001, სს „თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22, სკ-401947293) შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნიკოლოზ ფიროსმანიშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი
ღია ბარათები, მისალოცი ბარათები და სხვა ნაბეჭდი მასალა
(ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება)
(CPV კოდი - 22300000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2195 (ორი ათას ას ოთხმოცდათხუთმეტი)** ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. **მიმწოდებელი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში, ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა N16-ში;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

დ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 **შემსყიდველი** ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი

საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების დანართი №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს სპეციალისტი **მაკა ლომიძე.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენლის (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) მიერ წუნის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 2 (ორი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი **ზაქარია წითლაური.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (დღგ-ს გადამხდელობის შემთხვევაში) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ამ მუხლის 10.1 ან/და 10.2 პუნქტებით გათვალისწინებული დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან, გარდა 10.4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე **მხარის** მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს **მხარეებისათვის** გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი **შემსყიდველის** ან/და **მიმწოდებლის** შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით.

15.3 **მხარემ**, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16
ტელეფონი: 226-13-34,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა,
კოდი TRESGE22,
სკ-204862078

მიმწოდებელი

შპს „ფრანი"
მისამართი: ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №15,
ტელეფონი: 2-74-51-12, 599-51-88-12,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE83TB7563136020100001,
სს „თიბისი ბანკი",
კოდი TBCBGE22,
სკ - 401947293

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	მისაწოდებელი საქონლის სრული აღწერილობა, წარმოშობის ქვეყნისა და მწარმოებლის მითითებით	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ვადები და ადგილი
1	ღია ბარათები, მისალოცი ბარათები და სხვა ნაბეჭდი მასალა (CPV -22300000)	ქაღალდის ჩანთა (30*40*10 სმ) ქაღალდი: 190 გრ. ბრისტოლი საქ. სახელმწ. გერბი ცხელი ბეჭდვით წარმოშობის ქვეყანა: საქართველო მწარმოებელი: შპს ,,ფრანი“	ცალი	50	7,60	380,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში მისამართზე: ქ თბილისი, გორგასლის ქუჩა N16.
2		ქაღალდის ჩანთა (32*26*3,5 სმ) ქაღალდი: 190 გრ. ბრისტოლი საქ. სახელმწ. გერბი ცხელი ბეჭდვით წარმოშობის ქვეყანა: საქართველო მწარმოებელი: შპს ,,ფრანი“	ცალი	50	5,90	295,00	
3		ქაღალდის ჩანთა (15*20*9 სმ) ქაღალდი: 190 გრ. ბრისტოლი საქ. სახელმწ. გერბი ცხელი ბეჭდვით წარმოშობის ქვეყანა: საქართველო მწარმოებელი: შპს ,,ფრანი“	ცალი	50	4,60	230,00	
4		ქაღალდის ჩანთა (15*12*7 სმ) ქაღალდი: 190 გრ. ბრისტოლი საქ. სახელმწ. გერბი ცხელი ბეჭდვით წარმოშობის ქვეყანა: საქართველო მწარმოებელი: შპს ,,ფრანი“	ცალი	50	4,40	220,00	
5		ღვინის ჩანთა (35*7,5 სმ) ქაღალდი: 190 გრ. ბრისტოლი საქ. სახელმწ. გერბი ცხელი ბეჭდვით წარმოშობის ქვეყანა: საქართველო მწარმოებელი: შპს ,,ფრანი“	ცალი	50	6,90	345,00	
6		პატარა კუვერტული ბარათი ზომა: 20*7, შუაში კეცვით, ქაღალდი: 280 გრ. ტილო, საქ. სახელმწ. გერბი ცხელი ბეჭდვით წარმოშობის ქვეყანა: საქართველო მწარმოებელი: შპს ,,ფრანი“	ცალი	100	0,80	80,00	

	ღია ბარათები, მისალოცი ბარათები და სხვა ნაბეჭდი მასალა (CPV -22300000)	[illegible] კონვერტით ბარათის ზომა: 10*6, კონვერტის ზომა 12*7 ქაღალდი: 280 გრ. ტილო საქ. სახელმწ. გერბი ცხელი ბეჭდვით წარმოშობის ქვეყანა: საქართველო მწარმოებელი: შპს „ფრანი“	ცალი	100	2,15	215,00	ხელშეკრულების გაფორმებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში მისამართზე: ქ თბილისი, გორგასლის ქუჩა N16.
8		საქაღალდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ლოგო ცხელი ბეჭდვით და ემბოსირებით ქაღალდი: 280 გრ. ტილო წარმოშობის ქვეყანა: საქართველო მწარმოებელი: შპს „ფრანი“	ცალი	100	4,30	430,00	
სულ ღირებულება დღგ-ს ჩათვლით: 2195 (ორი ათას ას ოთხმოცდათხუთმეტი)							

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16,
ტელეფონი: 226-13-34,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE24NB0330100200165022,
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა,
კოდი TRESGE22,
სკ-204862078

მიმწოდებელი

შპს „ფრანი"
მისამართი: ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. №15,
ტელეფონი: 2-74-51-12, 599-51-88-12,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №GE83TB7563136020100001,
სს „თიბისი ბანკი",
კოდი TBCBGE22,
სკ-401947293